# ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის
# ბრძანება №2431

2017 წლის 02 ნოემბერი ქ.ბოლნისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოლადაურში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, სსიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისის №1 საჯარო სკოლა“-ზე სარგებლობის უფლებით გადაცემული შენობის (სოფელ ფოლადაურის დაწყებითი სკოლა) (მიწის საკადასტრო კოდი 80.07.68.053) სადემონტაჟო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და დემონტაჟის ნებართვის გაცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სსიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისის №1 საჯარო სკოლა“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის 2017 წლის 27 ოქტომბრის №6784-11 დასკვნის თანახმად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოლადაურში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, სსიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისის №1 საჯარო სკოლაზე“-ზე სარგებლობის უფლებით გადაცემული შენობის (სოფელ ფოლადაურის დაწყებითი სკოლა) (მიწის საკადასტრო კოდი 80.07.68.053) სადემონტაჟო დოკუმენტაცია;

2.გაიცეს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოლადაურში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, სსიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისის №1 საჯარო სკოლა“-ზე სარგებლობის უფლებით გადაცემული შენობის (სოფელ ფოლადაურის დაწყებითი სკოლა) მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 80.07.68.053) დემონტაჟის ნებართვა;

3.წინამდებარე ბრძანებით გაცემული მშენებლობის სანებართვო მოწმობა №82 წარმოადგენს წინამდებარე ბრძანების განუყოფელ ნაწილს;

4.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსს, **კონსტანტინე კორძაძეს**

**გამგებელი:** **ფაქიათ შერაზადიშვილი**

# საქართველო
# ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა

1100 ქ. ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის ქ. N106
ტელეფონი: +955 599 85-99-00; +955 599 85-99-01; ფაქსი: 0 (358) 22-25-00
bolnisimunicipality@gmail.com


## მშენებლობის სანებართვო მოწმობა
## ნებართვა N 82

ნებართვის გაცემის თარიღი - 2017 წ. 02 ნოემბერი

ნებართვა ძალაშია - 2018 წ. 01 იანვრამდე

ნებართვის ვადის დინების დაწყების თარიღი - 2017 სექტემბერი

ნებართვის მფლობელი *სსიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისის N1 საჯარო სკოლა“*

*ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ბოლნისი*
(მისამართი)

მშენებლობის *ობიექტი* *სოფელ ფოლადაურის დაწყებითი სკოლა*
(დასახელება, ფუნქციური დასახელება)

*ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ბოლნისი*
((მისამართი, ადგილმდებარეობა)

N *80.07.68.053*
(მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი)

შენობის კლასი II

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი ---------- ლარი.

*მოსამზადებელი პერიოდის* სამუშაოების ეტაპები:
1. მოსამზადებელი სამუშაოები.

*სადემონტაჟო სამუშაოების ეტაპები:*
1. სახურავისა და სასხვენო გადახურვის დემონტაჟი;
2. კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი;
3. იატაკის დემონტაჟი;
4. გრუნტის დამუშავება და საძირკვლის დემონტაჟი;

*საერთო სამუშაოები:*
1. სამშენებლო ნაგვის გატანა მოედნიდან;
2. მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი მასალის გატანა მოედნიდან;
3. მოედნის მოსწორება.

# სანებართვო პირობები

1. მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

ა) აწარმოოს დემონტაჟი ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

ბ) აწარმოოს დემონტაჟი სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;

გ) აწარმოოს დემონტაჟი სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით;

დ) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით;

ე) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაცნობა.

2. დემონტაჟის განხორციელებამდე უზრუნველყოფილი უნდა იყოს შენობა-ნაგებობის გათიშვა ელექტრომომარაგების, ბუნებრივი აირით მომარაგების, წყალმომარაგებისა და საარინებლების ძირითადი საინჟინრო-კომუნალური ქსელებიდან, შესაბამისი კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

3. ზემოთ მოყვანილი მოთხოვნების დარღვევისას ნებართვის მფლობელს დაეკისრება საქართველოს კანონით - პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

*მუნიციპალიტეტის გამგებელი* *დავით შერაზადიშვილი*